

**პროგრამის სახელწოდება:**

სტომატოლოგია (stomatology)

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

დიპლომირებული სტომატოლოგი/ Doctor of Dental Medicine(DDM)

**პროგრამის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები/კოორდინატორი)**

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი  
ვლ.მარგველაშვილი

**პროგრამის მოცულობა:** 300 ECTS კრედიტი

**სწავლების ენა:** ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება, რომელიც იცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებს, აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ იყოს კონკურენტული შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ერთიანი ეროვნული გამოცდები

**სწავლის შედეგი:**

ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრება TUNING/MEDINE მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე.

სტომატოლოგიაში საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი, 5 წლიანი, 300 კრედიტიანი. პროგრამა მიმართულია სტომატოლოგიაში განსაზღვრული შედეგების გამომუშავებაზე შედეგები განისაზღვრება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით.

### **ცოდნა და გაცნობიერება**

დიპლომირებულ სტომატოლოგს აქვს საბუნებისმეტყველო, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა; იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობებისა და დაავადებების მიხედვით; აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში; აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა; აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს.

- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
- გამოქვეყნებული ლიტერატურეს კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

#### **1.პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა**

- ანამნეზის შეკრება
- ობიექტური გამოკვლევის ჩატარება

- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტის გამხნეება და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება
- კლინიკური შემთხვევის სირთულის გაცნობიერება და შეფასება
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება
- პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
- მედიკამენტებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას

## 2. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- ინექციური ანესთეზიის შესრულება
- კბილის მაგარი ქსოვილების პრეპარირება
- ენდოდონტიური მანიპულაციების შესრულება
- კბილის მაგარი ქსოვილების დეფექტების რესტავრაციის შესრულება
- კბილის ექსტრაქციის შესრულება
- ნაკერის დადება
- ანაბეჭდის აღება
- ცვილით კბილებისა და სხვა სახის პროთეზების მოდელირება
- კბილების პრეპარირება გვირგვინებისათვის მთლიანი და ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების დამზადება
- თანკბილვის ანომალიათა დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა და შესაბამისი კონსტრუქციის აპარატის შერჩევაში

მონაწილეობა;

- პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგიურ დაავადებათა დიფერენციულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ალგორითმის შედგენაში მონაწილეობა;
- პაციენტის და ექიმ-სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა,
- დენტოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში

## დასკვნის უნარი

აქვს ღრმა კლინიკური აზროვნება, შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებით.

## კომუნიკაციის უნარი

შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური

## სწავლის უნარი

სწავლის უნარი შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება; აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა

- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება
- პირადი ჩამაწერების შენახვის უნარი

## ღირებულებები

აქვს სტომატოლოგიის დარგის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

- კონფიდენციალობის დაცვა
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპებისა და ანალიზის უნარის გამოყენება
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება
- სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში

## 8. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები:

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში (უმცროსკურსელებისთვის) და კლინიკურ გარემოში (უფროსკურსელებისთვის). სწავლებისას უმაღლესმა სამედიცინო სასწავლებელმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ახალ ტექნოლოგიებს. სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება. აუცილებელია სწავლების პროცესში სიმულანტებისა და მულაჟების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ. ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პორტფოლიო, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი. სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, კოლოკვიუმები

- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება
- ლაბორატორიული სწავლება
- პრეზენტაციები
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა
- სამუშაო პრაქტიკა

კურიკულუმში სტუდენტის კვლევაში მონაწილეობას ეთმობა განსაზღვრული საათები. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ დეპარტამენტების/ფაკულტეტების სამეცნიერო კონფერენციებში.

**9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: “ფრიადი“, “მალიან კარგი“, “კარგი“, “საშუალო“, ”დამაკმაყოფილებელი“, “არადამაკმაყოფილებელი“, “სრულიად არადამაკმაყოფილებელი”.

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	შეფასება
91 -100	“ფრიადი”	დადებითი	(A) „ფრიადი“
81 – 90	“მალიან კარგი”	დადებითი	(B) „მალიან კარგი“
71 – 80	“კარგი”	დადებითი	(C) „კარგი“
61 – 70	“საშუალო”	დადებითი	(D) „დამაკმაყოფილებელი“
51 – 60	“დამაკმაყოფილებელი”	დადებითი	(E) „საკმარისი“
41 – 50	“არადამაკმაყოფილებელი”	უარყოფითი	(FX) „ვერ ჩააბარა“ (ემლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება
0 – 40	“სრულიად არადამაკმაყოფილებელი”	უარყოფითი	(F) „ჩაიჭრა“ (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)

**10. სასწავლო გეგმა:**  
(იხ. დანართი)

**11. პროგრამის**

ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები/კოორდინატორი)

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი  
ვლ.მარგველაშვილი

### **პროგრამის კოორდინატორები**

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი  
მ.კალანდაძე

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული  
პროფესორი ნ.მანჯავიძე

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-  
პროფესორი ო.დარჯანია

მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-  
პროფესორი მ.გოგიბერიძე

### **12. ინფორმაცია პროგრამაში განხორციელებული პირების შესახებ:**

(იხ. დანართი)

### **13. დასაქმების სფერო:**

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს –დიპლომირებულ სტომატოლოგს მოქმედი კანონმდებლობით არ აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.მისი დასაქმების სფეროებია– პრაქტიკული მოღვაწეობა – უმცროსი ექიმი (უმცროსი ექიმი ასრულებს ქიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი));

- პრაქტიკული მოღვაწეობა-უმცროსი ექიმი
- პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა
- თეორიულ მედიცინაში მოღვაწეობა
- წინაპირობა დოქორანტურაში ჩასაბარებლად

- წინაპირობა რეზიდენტურაში ჩასაბარებლად



სტომატოლოგია (დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა) /Dentistry 2016/2017



I კურსი I სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა დღე	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	შესავალი კურსი ანატომიაში	6	90	15	1	5
2.	შესავალი კურსი ნორმალურ ფიზიოლოგიაში	4	60	12	1	4
3.	სამედიცინო ქიმია	6	90	15	2	4
4.	ციტოლოგია	3	45	15	1	2
5.	ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	3	45	15	1	2
6.	სამედიცინო ბიოფიზიკის საფუძვლები	5	75	15	2	3

7.	უცხო ენა 1	3	45	15	-	3
	სულ	30				

I კურსი      II სემესტრი

#	საგნის დასახელება		ECTS კრედიტი		საკონტაქტო საათი		ხანგრძლივობა დღე		ლექცია. საათი.	პრაქტიკული. საათი.
1.	ნერვული სისტემა	კლინიკური ანატომია	სულ 15	5	სულ 240	75	სულ 48	15	1	4
		ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია		4		60		12	2	3
		ბიოქიმია		2		30		6	2	3
		ფიზიოლოგია		4		60		12	2	3
2.	მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები		3		45		15 კვ.	1	2	
3.	ბიოქიმიის ზოგადი კურსი		4		60		12 კვ.	2	3	
4.	ჯანმრთელობის ხელშეწყობა		2		30		15 კვ.	5	25	
5.	გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია		2		30		15 კვ.	1	1	
6.	უცხო ენა 2		4		60		15 კვ.		4	

	სულ	30				

## II კურსი I სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა დღე	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	ანატომია	4	60	15	1	3
2.	სამედიცინო ბიოქიმია	3	45	15	1	2
3.	ფიზიოლოგია	3	45	15	1	2
4.	თერაპიული სტომატოლოგია 1	2	30	10	1	2
5.	ქირურგიული სტომატოლოგია 1	2	30	10	1	2
6.	ორთოპედიული სტომატოლოგია 1	2	30	10	1	2
7.	ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია 1	3	45	15	1	2
8.	პათოლოგიური ანატომია	3	45	15	1	2
9.	პათოლოგიური ფიზიოლოგია	3	45	15	1	2
10.	უცხო ენა 3	3	45	15		3
11.	ჰისტოლოგია	2	30	15	1	1
	სულ	30				

## II კურსი II სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა კვირა	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	პათოლოგიური ანატომია სექციის კურსით	3	45	15	1	2
2.	პათოლოგიური ფიზიოლოგია	3	45	15	1	2
3.	იმუნოლოგია	3	45	15	1	2
4.	ზოგადი ჰიგიენა, ეკოლოგია	3	45	15	1	2
5.	თერაპიული სტომატოლოგია 2	3	45	15	1 (10 ლექცია)	2+5
6.	ქირურგიული სტომატოლოგია 2	3	45	15	1 (10 ლექცია)	2+5
7.	ორთოპედიული სტომატოლოგია 2	3	45	15	1 (10 ლექცია)	2+5
8.	ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია 2	3	45	15	1 (10 ლექცია)	2+5
9.	მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია	3	45	15	1	2
10.	ბიოეთიკა	1	15	15	1	
11.	უცხო ენა 4	2	30	15		2
	სულ	30				

III კურსი I-II სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა დღე	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	ფარმაკოლოგია	4	60	10	2	4
2.	შინაგანი მედიცინა (პროპედევტიკა)	3	45	7	2	4+3
3.	სამედიცინო რადიოლოგია	4	60	10	2	4
4.	ფსიქიატრია, სამედიცინო ფსიქოლოგია	3	45	7	2	4+3
5.	კლინიკური კომუნიკაცია უნარ-ჩვევები	1	15	5		3
6.	ჰემატოლოგია	2	36	6	2	4
7.	ზოგადი ქირურგია	3	45	7	2	4 +3
8.	ფტიზიატრია	2	36	6	2	4
9.	ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები	2	30	6	1	4
10.	დერმატოლოგია, ვენეროლოგია	2	30	5	2	4
11.	სასამართლო მედიცინა	2	30	5	2	4
12.	თერაპიული სტომატოლოგია 3,4	<b>8</b> I-4 II-4	<b>120</b> I-60 II60	<b>20</b> I-10 II-10	2	4
	ქირურგიული სტომატოლოგია 3,4	6	90	14	2	4+3

13.		I-3 II-3	I-45 II-45	I-7 II-7		
14.	ორთოპედიული სტომატოლოგია 3,4	6 I-3 II-3	90 I-45 II-45	14 I-7 II-7	2	4+3
15.	ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია 3,4	6 I-3 II-3	90 I-45 II-45	14 I-7 II-7	2	4+3
16.	კლინიკური უნარ-ჩვევები 1	2	30	6		5
17.	ენდოკრინოლოგია	2	30	5	2	4
18.	ფიზიოთერაპია	2	30	6	1	4
	სულ	60				

IV კურსი I-II სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა დღე	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	პედიატრია	2	30	6	1	4
2.	ნევროლოგია	2	30	6	1	4
3.	შინაგანი მედიცინა	2	30	6	1	4
4.	მეანობა	2	30	6	1	4
5.	ოფთალმოლოგია	2	30	6	1	4
6.	ტრავმატოლოგია, ორთოპედია	2	30	6	1	4
7.	უროლოგია	2	<b>30</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>4</b>
8.	ინფექციური დაავადებები	2	<b>30</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>4</b>
9.	საზოგადოებრივი ჯანდაცვა/სტომატოლოგიურ დაავადებათა მენეჯმენტი, დაფინანსება, ეკონომიკა/	2	<b>30</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>4</b>
10.	ეპიდემიოლოგია	2	<b>30</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>4</b>
11.	ნეიროქირურგია	2	30	6	1	4
12.	ქირურგია	2	30	6	1	4
13.	თერაპიული სტომატოლოგია 5,6	7 I-4	105 I-60	17 I-10	2 2	4 4+3

		II-3	II-45	II-7		
14.	ქირურგიული სტომატოლოგია 5,6	6 I-3 II-3	90 I-45 II-45	14 I-7 II-7	2 2	4+3 4+3
15.	ორთოპედიული სტომატოლოგია 5,6	7 I-4 II-3	105 I-60 II-45	17 I-10 II-7	2 2	4 4+3
16.	ორთოდონტია1,2	4 I-2 II-2	60 I-30 II-30	10 I-5 II-5	1 1	5 5
17.	ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია 5,6	6 I-3 II-3	90 I-45 II-45	14 I-7 II-7	2 2	4+3 4+3
18.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია 1	2	30	6	1	4
19.	კლინიკური უნარ-ჩვევები 2	2	30	6		5
20.	გინეკოლოგია	2	30	6	1	4
	სულ	60				



V კურსი I-II სემესტრი

#	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათი	ხანგრძლივობა დღე	ლექცია საათი	პრაქტიკული საათი
1.	თერაპიული სტომატოლოგია 7,8	9 I-4 II-5	135 I-60 II-75	27 I-12 II-15	1	4
2.	ქირურგიული სტომატოლოგია 7,8	8 I-4 II-4	120 I-60 II-60	24 I-12 II-12	1	4
3.	ორთოპედიული სტომატოლოგია 7,8	8 I-4 II-4	120 I-60 II-60	24 I-12 II-12	1	4
4.	თავისა და კისრის მიდამოს ონკოლოგია	2	30	6	1	4
5.	ორთოდონტია 3,4	8 I-4 II-4	120 I-60 II-60	24 I-12 II-12	1	4
6.	ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია 7,8	8 I-4 II-4	120 I-60 II-60	24 I-12 II-12	1	4
7.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია 2,3	8 I-4 II-4	120 I-60 II-60	24 I-12 II-12	1	4
8.	ყბა-სახის მიდამოს პლასტიკური ქირურგია	2	30	6	1	4
9.	კლინიკური ალერგოლოგია	2	30	6	1	4
10.	ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია	2	30	6	1	4

11.	გადაუდებელი მედიცინა (ტოქსიკოლოგია, გადაუდებელი ქირურგია)	2	30	6	1	4
12.	საექიმო საქმიანობა და პაციენტის უფლებები	1	15	4	1 (3სთ)	3
	სულ	60				